თურქეთის რესპუბლიკის საელჩო

26.03.2010

განცხადება

თურქეთზე ტრანზიტით გამვლელ ა/მანქანებისგან თურქეთის საბაჟო გამშვებ პუნქტებზე დაწესებული სატრანზიტო და საგარანტიო მოსაკრებლებთან დაკავშირებით ქართული საზოგადოება შეცდომით და/ან ნაწილობრივ იქნა ინფორმირებული, რის გამოც ამ საკითხთან დაკავშირებით ბოლო პერიოდში გაკეთებულ იქნა სხვადასხვაგვარი შეფასებები. საკითხთან დაკავშირებით გაურკვევლობების აღმოფხვრის მიზნით, ქართველ საზოგადოებას გვინდა ვაცნობოთ შემდეგი:

სატრანზიტო მოსაკრებლების დაწესება

თუკი ადრე თურქეთის გავლით ტრანზიტით მიმავალი დროებითი და უცხოური სანომრე ნიშნიანი „დახურული ძარის ფურგონის ტიპის“ სატრანსპორტო საშუალებები თურქეთის სასაზღვრო პუნქტებში შედიოდნენ დატვირთული ან ცარიელი და გადაჰყავდათ მხოლოდ მგზავრები, დადგინდა, რომ ბოლო პერიოდში ადგილი აქვს ამ ტიპის ა/ მანქანების გადაკეთებასა და მათი საშუალებებით კომერციული ტვირთის გადაზიდვას. აღნიშნული მიზეზით ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, ამ მანქანებზე დაწესდა სატრანზიტო მოსაკრებელი. აღნიშნული წესი მოქმედებს 2010 წლის 5 მარტიდან, მაგრამ ქართული მხარის თხოვნის საფუძველზე, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მოქალაქეები არ იყვნენ ინფორმირებულები და შეიძლებოდა შექმნოდათ პრობლემები, ჩვენი საელჩოს შუამდგომლობით, თურქეთის რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ აღნიშნული წესის მოქმედება დაიწყოს 2010 წლის 1 მაისიდან. ხსენებული თარიღის შემდეგ, ზემოთ მოცემულ სატრანსპორტო საშუალებებზეც გავრცელდება სატრანსპორტო მოსაკრებელი.

აღნიშნული წესი ვრცელდება როგორც უცხო ქვეყნის, ასევე თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეებზეც და იგი დაწესდა არა მხოლოდ საქართველო-თურქეთის, არამედ თურქეთის ყველა სასაზღვრო პუნქტებზე.

როგორც ცნობილია, სატრანზიტო მოსაკრებლის დაწესება ხდება „თურქეთის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას შორის საერთაშორისო საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ ხელშეკრულების“ ფარგლებში. იმის გამო, რომ აღნიშნულ ხელშეკრულებაში არ არის მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა ამგვარი ა/მანქანების (3,5 ტონისა და ნაკლები ტევადობის) სატრანზიტო გადასახადისაგან გათავისუფლებას, ამგვარი სატრანსპორტო საშუალებისგან ორივე მხრიდან მოითხოვება სატრანზიტო გადასახადი ან სატრანზიტო ნებართვის დოკუმენტი.

საგარანტიო მოსაკრებლის დაწესება

თურქეთის რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად, სატრანზიტო ნივთებზე დაწესებული საბაჟო გადასახადების ამოღების მიზნით, აუცილებელია საგარანტიო მოსაკრებლის გადახდა.

აღნიშნულის გამო, იმ შემთხვევაში, თუკი მესამე ქვეყანაში მიმავალი და თურქეთში ტრანზიტად გამავალი სატრანსპორტო საშუალება არ წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს უცხოეთიდან შემოტანილი **კომერციული დანიშნულებისა და „საბაჟო ნომრიან“** ცარიელი ა/მანქანების ტრანზიტს, აღნიშნული სატრანზიტო საშუალებებისგან თურქეთის სასაზღვრო პუნქტებში შემოსვლისას მოითხოვება საგარანტიო მოსაკრებელი, რომელიც ა/მანქანის მფლობელებს **უკან დაუბრუნდებათ** საზღვარზე თურქეთის დატოვებისას. თუკი მანქანის მფლობელს არ სურს საგარანტიო მოსაკრებლის გადახდა, მაშინ მას შეუძლია ტრანზიტით გაიაროს გამცილებლის თანხლებით, თუმცა აღნიშნულ შემთხვევაში, გამცილებელთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ანაზღაურდება მანქანის მეპატრონის მიერ.

უწინ საგარანტიო გადასახადის გადახდას არ ექვემდებარებოდა „დახურული ძარის ფურგონის ტიპის“ სატრანსპორტო საშუალებები, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ფაქტის ბოროტად გამოყენების შემთხვევების გახშირების გამო, ხსენებული ტიპის ა/მანქანები შევიდა ტვირთის გადასაზიდად განკუთვნილ კომერციული დანიშნულების სატრანსპორტო საშუალებების კატეგორიაში, რის გამოც მათზედაც გავრცელდა მოცემული წესი.

საგარანტიო მოსაკრებლები უკვე ძალაშია და მას არანაირი კავშირი არ აქვს ზემოთ ხსენებულ სატრანზიტო მოსაკრებლებთან.

ორივე რეგულაციის მიზანია, კანონის დარღვევისა და მისი ბოროტად გამოყენების აღმოფხვრის გზით, მეგობარ საქართველოსა და თურქეთის სხვა მეზობელ ქვეყნებთან დღემდე არსებული ახლო თანამშრომლობით, კიდევ უფრო განვითარდეს ეკონომიკური, სავაჭრო და სატრანსპორტო სფეროებში არსებული ურთიერთობები.

ქართველ საზოგადოებას ამ ინფორმაციას ვაწვდით დიდი პატივისცემით.